ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7097797

ნომერი: AR11032208

თარიღი : 26.04.2024

გაცემის თარიღი : 24.06.2024

გაცნობის თარიღი : 24.06.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიკა ხიზანიშვილი პ/ნ 01004006038
- სამტრედიის ქ50 ბ.კორპ.ბინა 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713087 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024

წლის 26 აპრილის №AR11032208 განცხადებით მომართა მარიკა ხიზანიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713087 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713087 ბრძანებით, №81.08.17.869 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მაღაზიის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 17 ნოემბრის №6765925 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 17 ნოემბრიდან 2025 წლის 17 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713087 ბრძანებით შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, გამორჩენილია აივნის ფილა. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობი 73.86 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 90.699 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 462.15 კვ.მ-ის ნაცვლად 459.89 კვ.მ.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და საპროექტო დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ფართობების გასწორება გამოიწვევს საერთო ფართობის ცვლილებასაც და საერთო ფართობი 2893.34 კვ.მ-ის ნაცვლად 2907.919 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ტექნიკური შეცდომის გასწორება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713087 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს: 90.699 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 459.89 კვ.მ., საერთო ფართობად: 2907.919 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713087 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები, ფასადები, ფოტომონტაჟები და ჭრილები ჩანაცვლდეს, წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით, ფასადებით, ფოტომონტაჟებით და ჭრილებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713087 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713087 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.